



საქებაართა ქებანი

წერილი ზირუელი

დ. კარიჭაშვილის  
მიერ.

*Handwritten red stamp:* საქებაართა ქებანი  
*Handwritten signature:* ი. შ.

თბილისი

გრ. ჩარკვიანის სტამბა.





# საქეზარტო ქეზანი

წერილი ჰირველი

37469

დ. კარნიჭაშვილის  
მიერ.



თბილისი

გრ. ჩარკვიანის სტამბა.



Дозвол. Цenz. Тифл. 27 Дек. 1886 г.

თბილისი, 1886 წ. ქრისტეშ. 22.

## ჩემო ძმაო და მეგობარო!

---

ღიღის ბოდიშს ვიხდი შენთან, რომ  
ესრე დაგიგვიანე წიგნის მოწე-  
რა. დამოუკიდებელმა მიზეზებმა ნება არ  
მომცეს უფრო ადრე შემესრულებინა შე-  
ნი გულითადი თხოვნა, მომეწერა ჩვენ-  
ის ცხოვრების ყოველივე შესანიშნავი და  
საინტერესო ამბავი. მხლა ვასრულებ ამ  
შენს სურვილს, ხოლო, ჩემდა სასინანუ-  
ლოდ, არა სრულიად. რო იცოდე, რა  
ღრმა და ფართოა ჩვენის ცხოვრების კა-  
ლაპოტი, არ გაგიკვირდება, რომ ერთის  
წერილით ვერ შევძელ სულ ყველაფრის  
შეტყობინება.

საკვირველი ჩაბეჭდილება მოახდინა  
ჩემზე ჩვენის საზოგადოების ახლო ნახვამ.

მით უფრო საკვირვლად დამრჩა ყველა-  
 ფერი, რაც ვნახე, რომ, ვიდრე მანდ ვი-  
 ყავ, ბევრი რამ ავი გამეგონა შინაურის  
 თუ უცხო მწერლებისაგან. აკი გეუბნე-  
 ბოდი, ნუ დავიჯერებთ რასაც ბლახნიან  
 მეთქი. შენც კი არ გჯეროდა, ღვთის წი-  
 ნაზე. აი, ეხლა მე შემიძლიან საბუთე-  
 ბით უარყო ის სიცრუე, რასაც ავრცე-  
 ლებენ ჩვენში თუ უცხოეთში. ზახსოვს,  
 ერთი მანდაური მატყუარა სწერდა, რომ  
 ქართველი საზოგადოება უბრალო სუ-  
 რათს წამოგვიდგენსო, მას აღარაფერი  
 ნიჭი არ ატყვიაო. ამ სიტყვებში იოტის  
 ოდენა მართალი არ ურევია. ჩვენის სა-  
 ზოგადოების წევრები ყველანი ჯან-მრთე-  
 ლად არიან და მომაკვდავისას არა ფერი  
 მიუგავთ. რა სიცოცხლის ნიჭი გინდა,  
 რომ მათ არა ჰქონდეთ? ისეთი წითელი  
 ფერი აძევთ, რომ გეგონება ღვინისთანად  
 ესენი არაფერს სწყალობენო.

ჩვენი საზოგადოება, კადნიერად ვი-

ტყვი, სამაგალითო და თითით საჩვენებელი საზოგადოებაა. ის სავსეა ყველა იმ საზოგადოებრივის და ურთიერთობრივის ინსტიტუტებით, რომლებიც აგვირგვინებენ ყოველს, უკანასკნელს განვითარებამდე მისულს, საზოგადოებას. აქ მოძღვრებად აქვთ: თვითიერი საზოგადოებისთვის და საზოგადოება თვითიერისთვის. ამ მოძღვრების დაგვარად, თვითიერი ძართველი ემსახურება საზოგადოებას, იღვწის მის სიკეთისთვის და მით არის ბედნიერი. ხოლო ამ მოღვაწეობის დროს თუ თვითიერს ფეხი გადაუბრუნდა, რამე უბედურება დაემართა, საზოგადოება თავს იღებს და შველის. აი ამ სურათს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოება, ხოლო ზოგიერთი მტრები კი იბრმავებენ თვალებს, არა ხედავენ სიკეთეს და გაიძახიან:

„ჩვენისთანა უსაქმურებს, ყველაფერზედ გულაცრუებულებს და ყველიფერზედ გულგრილებს რა საქმე უნდა მო-

ეკითხოს? მთელს აგებულებას თითქო სიღამბლე დამართნიაო, ვართ და ვჭამთ მხოლოდ, ესეც იმ დრომდე ვიდრე სა- ცოხნელი არ გამოგვეღვევა და ხელიდამ არ გამოგვეცლება ჩვენის უთაურობით. თუ ოდესმე ან გული შეგვივარდება რა- ზედმე, ან ხელს გავანძრევთ როგორმე, ეგეც მარტო იმიტომ მოხდება ხოლმე, რომ ჩვენს მოძმეს გზა გადვუღობოთ, ორმო გავუთხაროთ და კლდეზედ გარ- დაეჩეხოთ სადმე. შური, ერთმანერთის მტრობა, გაუტანლობა, ბეზლობა, ენა- მტანიობა, ერმანერთის ლანძღვა და თრე- ვა, ადამიანის ღირსების უარყოფა, ამის- თანა თვისების პატრონებს რა საქმეები უნდა მოეკითხოს“ („ივერია“ № 15 1886).

ზეთაყვა, არ დაიჯერო. ცილის წამე- ბაა იმის თქმა, რომ ამისთანა თვისების პატრონებს საქმეები არ მოეკითხებათო. ზანა ჭამა-სმა დასაძრახია? ჭამა და სმა

საჭიროა სიცოცხლისთვის, ხოლო ყოველი აქ სიცოცხლეს იმისთვის ნატრულობს, რომ ქვეყანას ემსახუროს. თუ ქართველი კაცი მოძმეს უღობავს გზას და ორმოს უთხრის, ალბად ქვეყნისთვის საჭიროა ყოფილა.

ამ კეთილისთვისებისთვის ჩვენი საზოგადოება სალანძღავი კი არა, საქებადარია და კიდევ ვაქებ (შენც აქე მანდ).

ქართველი კაცი ქვეყნის სიკეთისთვის არა ფერს ზოგავს, ერთის სიტყვით მსხვერპლად მოაქს თავის თავი ზნეობრივად, და სხვები კი უკიჟინებენ არას აკეთებო. ღმერთო, დაგვიხსენ ამ კრიტიკოსთაგან!

თუ ზნეობრივის მხრით ჩვენი საზოგადოება არაფერს მსხვერპლს ერიდება, არც არაჩაიმე ქონებრივს მსხვერპლს იშურებს.

როგორც ჩვენმა მამაპაპებმა ეს მშვენიერი მამულ-დედული და სარჩო-საბადებელი მისყიდ-მოსყიდეს და სულ

საზოგადო საქმეს, ქვეყნის სიკეთეს, შეალიეს, ისე ჩვენი საზოგადოება, თუ კი რამ დარჩენია მამა-პაპათაგან, ბედოვლათურად ფლანგავს საქვეყნო საქმეებზე. შეძლებული ქართველები, ასე გაშინჯე, არ ერიდებიან და მონაწილეობას იღებენ ყოველ-გვარს საქველმოქმედო საქმეში და თავს იღებენ დიდს და სამაგალითო მოვალეობას, ათიოდ-ოციოდე მანეთის გადახდას წელიწადში. ამისთანა კაცები არამც თუ პატივსაცემნი არიან, არამედ კერპადაც რომ დავიყენოთ, ცოდვა არ იქნება. მაგრამ ისინი ისე მორიდებულები არიან ყოველ-გვარის იმისგან, რაც კი მათ თავდაბლობას შეარყევს, რომ საზოგადოების კრებებზე არ ცხადდებიან, რა არის უბრალო ხალხმა „ვაშა-ვაშის“ და „აღღებრძელოს“ ძახილით არ მიგვიღონო. შოველს წელიწადს რომ ეთაკილებათ ასე მცირე რისმე გაღება, როგორც 20—10 მ., უც-

დიან ერთის საუკუნის გასვლას, რომ იმათ ღირსი ჯამი შესდგეს 2000—1000 მ. და ისე გადაიხადონ ერთბაშად. სხვები, ვისაც ჯერ საკმაო ფული არა აქვს, რომ შეეძლოს ერთი საუკუნო უცადოს საწევრო ფულის გადახდას, შესდგომიან საშინელის თავზედ-ხელაღებით ქონების შოვნას. ზოგი მათგანი თამაშობს ქალაქს, ზოგი მდიდარის ცოლის შერთვის ცდაშია, ზოგი დაეძებს რომლისაღე კომპანიის დირექტორის ალაგს. ამ ცდასა და შრომაში ისინი დიდის შეწუხებით იძულებულნი არიან დაივიწყონ თავიანთ ნეტარი მოვალეობა?

მე შეგატყობინე რამოდენად დიდი და მტკიცეა ჩვენის საზოგადოების ზნეობრივი და ქონებრივი მდგომარეობა. აგრეთვე მეთქმის აქაურს განათლებაზედ. დღეს ხუთი ქართველი პროფესორია სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში. ისინი დღე მუდამ იმის ფიქრში არიან, რომ

უმეტესად მეცნიერება გაავითარონ. პროფესორებს რომ თავი დაეხებოთ (ეგება უფრო მალე გაათავონ თავიანთ შრომა), აქ თბილისშიც ბევრი მშრომელები არიან სამეცნიერო სარბიელზე. ამ მეცნიერებს თურმე მზად აქთ ყოველნაირი სახელმძღვანელო, რომ დაბეჭდონ და დაურიგონ მოსწავლეებს.

ცხადია ამისთანა მდგომარეობაში საზოგადო საქმეები მეტის-მეტად მშვენიერად უნდა მიდიოდნენ. აგრეც არი ჩვენში. რომელს საზოგადო დაწესებულებას იკითხავ, რომ კარგად არ მიდიოდეს? წერა-კითხვის გამავრცელებელი, შეუძლებელთ მოსწავლეთა დამხმარებელი, თუ დრამატული? წერა-კითხვის საქმე ისე კარგად წაუყვანია ჩვენს საზოგადოებას, რომ საჭიროდ აღარ დაუნახავს სკოლა ზოგს ადგილებში. მაგალითად, ბათუმის სკოლის გაუქმება, ან სადმე გადატანა, ბეჯითად გადაუწყვეტია გამგეობას, რადგან, ნამდვილი რო ვთქვათ

რა საჭირო იყო იქ სკოლა, როდესაც ამ ქალაქში ბევრი სხვა სკოლებიც არსებობენ: სომხისა, ბერძნისა და სხ. ზამგეობა სკოლის დაკეტის მიზეზად უფულობას თვლის, მაგრამ ნუ დავიჯერებთ ამას. ბწყინვალე წევრებს გადასახადი ათასთუმნობით აქთ და საქმე რომ უფულობაზე იყვეს, განა ისინი ერთის საუკუნის გასვლას მოუცდიან?

მეორე საზოგადოებაც, რომელსაც შეუძლებელთ მოსწავლეთა დამხმარებელი ჰქვიათ, მგონი, თიქრობს ამდენი დახმარება საკმარისიაო და მომავალის წლითგან აპირობს სკოლების დაკეტვას. აქამდისაც დრო იყო ჩემის აზრით. ამდენი ნაწავლი ხალხი სად უნდა დავტოვოთ? შველას ზომა უნდა ქონდეს. მხლაც რამდენი განათლებული კაცი დაეთრევა უსაქმოდ, სამსახურში ალაგი ვეღარ უშოვიათ და სხვა და სხვა პატივცემულს პირებს აწუხებენ სამუშაოს თხოვნით.

მესამე საზოგადოებას - დრამატიულს-  
 ისე კარგად მიჰყავს თავის საქმე, რომ  
 ლამის სიკეთით დაგვლუპოს. მეტის-მე-  
 ტად ხელოვნური თამაშობა, სინდისიე-  
 რად როლები დასწავლა, რეპერტუარის  
 სიმდიდრე, პიესების აჭრიალობა ჩენის  
 თეატრის თანდაყოლილს თვისებას შე-  
 ადგენენ. ხალხს ისე იზიდავს ჩვენი თეა-  
 ტრი, როგორც თაფლი ფუტკარს. რა-  
 მოდენად შეაყვარა ხალხს თეატრი დრა-  
 მათიულმა საზოგადოებამ, ამას დაინახავ  
 შემდეგითგან. ამას წინად, როგორც მო-  
 გვითხრობს „ივერიის“ პუბლიცისტი, თეა-  
 ტრში უეცრად რომ ცეცხლი გაჩნდა და  
 ყვირილი გაიმართა (უეცრადვე): ცეცხლი!  
 ცეცხლი! უშველეთ თავს! მრთი მაყურე-  
 ბელიც არ წამომდგარა გასაქცევად. თეა-  
 ტრის გამგებლები თურმე ეხვეწებიან გა-  
 ბრძანდითო, მაყურებლები კი ითხოვენ  
 წარმოდგენა გააგრძელებითო. გამგებლები  
 თურმე კიდევ შეეხვეწნენ გაბრძანდითო.

ხალხმა უპასუხა: დაე დავიწვათ წარმოდგენის ცქერაშიო, ამისგან უფრო სასიამოვნო რა იქნებაო.

სხვა საქვეყნო საქმე, რომელიც საშინელის წარმატებით და სიკეთით მიდის, არის მწერლობა. მართალია სამწერლო გამოცემანი ცოტანი არიან ჩვენში, მაგრამ სიმრავლეს რა ჭკუა აქვს? ჩვენ ფილოსოფოზი ხალხი ვართ. ჩვენ უფრო შინაგანს ღირსებას მივდევთ, ვიდრე გარეგანს. აბა რას ეგვანება, რომ თხუთმეტი „ივერია“ ან ოთხმოცი „თეატრი“ არსებობდეს, ყოველს მიმართულებას და შინაარსს მოკლებულები, უხერხულები და გაუგებარები! ის არა სჯობია, რაცა გვაქს, ე. ი. ერთი „ივერია“ და ერთი „თეატრი“, რომლებიც დარბაისლურის მიმართულებით, მდიდარის შინაარსით და მოხერხებულობით შეუდარებელნი არიან. ზამოცემათა სიმრავლე რა თაბაუთია, თუ მწერლები არ იქნებიან. ჩვენში კი, რამ-

დენიც გინდა, მწერალი მოიკითხე. მერე როგორები არიან, რომ იცოდე! რაღა ბევრი გავაჭრელო მათი ქება, იმათ თავიანთ აზრების გარდა (რომლებიც თავისთავად საკმაონი არიან მწერლისთვის) მუდამ პირზე აკერიათ ბოკლების, სპენსერების, რენანების, შჩედრინების და სხვათა მათთანათა აზრები

მხლა ჩვენი მწერლობა იმ განვითარებამდეა მისული, რომ შინაური საკითხავები აღარა აქს რა გასარჩევი; სულ ყველაფერი გადაწყვეტილი და გამოკვლეულია მისგან. ღღეს ის შესდგომია უცხო ქვეყნების ბედის გადაწყვეტას. შენ მწერდი, რომ საფრანგეთში ხალხი დიდს გაურკვეველობაში არის, არ იცის, შერჩება მას ეხლანდელი წესწყობილება თუ არაო. მე დალოცვილი ფრანგები რას ჩქარობენ, დაიცადონ პატარა და აი ჩვენი გაზეთი „ივერია“ გადაწყვეტს თუ არა ბოლგარიის ბედს, ყველაზე პირ-

ველად საფრანგეთის ბედის გადაწყვეტას შეუდგება. რაკი ჩვენს ქვეყანაზე აღარაფერი გვაქს სალაპარაკო მაშ რით უნდა გავართოთ ჩვენი გონება, თუ არა უცხოთ ბედზე ზრუნვით. თუ ამ ცოტა ხანში მანდეთ ომი გაჩნდა და ზარბაზნები დაუშინეს ერთმანერთს ფრანგებმა და გერმანებმა, ნუ ეშინიანთ ფრანგებს. აქითგან „ივერია“ ისეთს მძიმე მძიმე მეთაურს სტატიებს დაუშენს ბისმარკს მოტვლევილს თავში, რომ სულ დაარეტიანოს.

ამ სიკეთესთან ჩვენს მწერლობას არ იქნება ერთი შეცდომა არ შევნიშნო. მაგრამ ამ შეცდომის შენიშვნით, ლმერთია მოწამე, მე მწერლობის ან მწერალთა დაძრახვა არ მინდა. ეს შეცდომა სულ უბრალო მიზეზის ბრალია. რუტინაა სხვა არაფერი. აი რაშია საქმე. ჩვენს მწერლებს სამართლიანად და ჭკვიანურად (ცხადია, უფრო ჭკვიანურად) უარუყვიათ ქართული ენა სასაუბრო ლაპარაკის დროს.

ისინი იშვიათად თუ წამოაყრან ტალღებენ  
 ერთს ორს სიტყვას ქართულად (ამასაც,  
 იმედია, მალე დაივიწყებენ), ხოლო წე-  
 რით კი ისევ ქართულად სწერენ. „ივე-  
 რია“ და „თეატრი“, რომ იცოდე, ქარ-  
 თულს ენაზე იბეჭდებიან კიდევ! არა, საკვი-  
 რველია კაცობრიობის განვითარების საქ-  
 მე, ღმერთმანი! ათასი რომ წარმატება  
 ქნას კაცმა, ათასი რომ ძველს აზრებზე  
 და ცრუ მორწმუნებაზე ხელი აიღოს,  
 მაინც კიდევ რაღაც ძველი ნასახი მოს-  
 დევს, ერთის სიტყვით, რუტინას რომ  
 ეტყვიან ფრანგები ის არის. ჩვენი გა-  
 მოჩენილი მწერლები, ზ. ჭიჭინაძით  
 დაწყებული ი. ზოგებაშვილამდის, რომ-  
 მელთაც მათდა სასიქადულოდ ხმარები-  
 თგან გაუდევნიათ ქართული ენა, კიდევ  
 წერით ქართულად სწერენ. ზასაკვირვე-  
 ლია კაცის ბუნება! ზ. ჭიჭინაძე და ი.  
 ზოგებაშვილი ამას ჩადიან და სხვა წერილ-  
 ფება მწერლები რასღა იქმონენ! არა

ფითომ რა საჭიროებაა, შენი ჭირიმე, რომ ჭიჭინაძემ თავის წინა და უკანა სიტყვაობანი და ბოგებაშვილმა თავის დედა-ენა და ბუნების კარი ქართულად არა წერონ? ამ ვაებატონებს ისე მოსდით, როგორც საშუალო საუკუნოებში მეცნიერები ჩადიოდნენ: სწერდენ ლათინურად და კი არ ლაპარაკობდენ.

მეც კარგახნობით (და შენ, მგონი, ეხლაც) რუტინას მივდევდი. არამც თუ წიგნსა ვწერდი ვისმე ქართულად (ამას ხომ სხვებიც ჩადიან), ლაპარაკითაც კი ქართულად ვლაპარაკობდი. მაგრამ ისე მშვიდობა შენს მაწყევარს მიეცა, როგორც მე აქ შევრცხვი მაგ შეცდომის გამო. ეხლაც კი ვწითლდები, ჩემი სისულელე რო მომაგონდება ხოლმე. პირველად რო შევხვდი ჩემს ნაცნობებს, სიხარულით შევძახე: როგორა ხართ, ძმებო, ან როგორ გიკითხოთ მეთქი. ისინი სახტად დარჩენ და მითხრეს: კაცო,

განა პარისში მაგიტომ იყავ, რომ ქართული ლაპარაკი არ დაგვიწყებოდაო. ამ კითხაზედ მე უფრო სახტად დავრჩი და თითქმის ბრაზით ვუთხარ: რას გაგიჟებულხართ, მე პარისში ძალად ვწავლობდი ქართულს და რა დამავიწყებდა მეთქი. ჩემს პასუხზე იმათ ღიმილი მოუვიდათ, ტაში ტაშს შემოჰკრეს და მითხრეს: ვაიმე, ვაიმე, შენ სულ უკან ჩამორჩენილხარ, ახალი აზრები არა გისწავლია რაო; არ იცი რომ ენა გარეგნობაა და ამიტომ ქართულად ლაპაკი საჭირო არ არისო!

შენ მიხვდები რა ნაირად უნდა გოცულებულიყავ ამის გამგონე.

წელან ერთი ანალოგია დაგისახელე, უნდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, რომ შეცდომაში არ შეგიყვანოს ჩემმა ნათქვამმა. როგორც საშუალო საუკუნოებში მწერლები ლათინურად წერდენ (მანდ მეროპაში, რასაკვირვსლია), ისე ჩვენი მწერლები ქართულად წერენ მეთქი. მსგა-

ესება გარეგანია, ხოლო რაც შეეხება  
 ენის ლაზათს, დიდი განსხვავებაა. საშუ-  
 ალო საუკუნოებში წერდენ რაღაც გარ-  
 ყვნილის, ავლაბრულის ლათინურის  
 ენით. მაშინ ათასი რომ მიებაძნათ ციცე-  
 როსთვის, ოვიდიუსისთვის, ან ლივიუსის-  
 თვის, ვერაფრათ შეეძლოთ მათ მსგავ-  
 სის ენით წერა. ჩვენი მწერლები კი, რა  
 პასუხია! მათ ენის ლაზათი, სიმშვენე და  
 მართებულება საუცხოვოა. ამ წერლე-  
 ბის საშუალებით ქართული ენა ჩადგა  
 ერთს კალაპოტში, სტილი მშვენიერი  
 დამყარდა და გაიწმინდა ყოველის ბარბა-  
 რისმისგან. ასე არტისტულად წერენ,  
 რომ გეგონება ქართულად მოუფიქრიათ,  
 თუმცა ამისთანა ცილის დაწამება ჩვენის  
 მწერლისთვის ცოდვაა. ჩვენის ენის უპი-  
 რველესნი ბურჯნი, რომელთაც მის გან-  
 ვითარება უმანკოებამდის უნდათ მიიყვა-  
 ნონ და ფიქრობენ ადგინონ იმავე შეუ-  
 დარებელის სიმშვენიით, რომლითაც ლაპ-

ლაპოზს დაბადების და წყობილსიტყვაობის  
 ენა, თითქმის აჭარბებენ წმ. მამათა ბი-  
 ორგი და მეთიმეს და ანტონს კათო-  
 ლიკოზს. ჩვენი მწერლები საბუთიანად  
 ფიქრობენ, რომ ძველის ქართულის ენის  
 სიმშვენიერეს მარტო დაბადების და წყო-  
 ბილ - სიტყვაობის ენა შეიცავს და არა  
 შეფხვის ტყაოსნის, მისრამიანის და სიბ-  
 რძნე-სიცრუისა.

მაგრამ დროთა ვითარებამ ჩვენი მწე-  
 რლობა აიძულა სხვა და სხვა კომპრო-  
 მისები გაემართა. რაკი ძველი ღვეითნის  
 ენა ბევრისთვის გაუგებარი გახდა, ამი-  
 ტომ დღეს ორი კილო დადგინდა ჩვენს  
 მწერლობაში (ვაჭეთობაში). პირველის  
 კლასიკურის ანუ ანტონურის კილოთი  
 იბეჭდებიან მეთაური წერილები არხე-  
 ოლოგოსთა, პალეოგრაფოსთა, ლინგვის-  
 ტთა, ფილოლოგოსთა და სხვათა მსგავსთა-  
 თვის. მეორე ავლაბრულის ანუ ახალის  
 კილოთი იწერებიან ახალი ანბები, მო-

თხრობები, რომანები, და უმეტესად სა-  
თეატრო პიესები ჩვენისთანა უბრალო  
ხალხისთვის. პირველს კილოს ის სიკეთე  
სჭირს, რომ გადათარგმანი თუ არა რუ-  
სულად სიტყვას სიტყვით აღაგის შეუ-  
ცვლელად, გამოვა მშვენივრად გასაგები  
რუსული. მეორე კილოთი დაწერილის  
სიკეთე კი ისაა, რო ყველაზე მეტად ავლა-  
ბრელებს მოსწონთ.

ქართულის ენის საქმე თავისთავად  
მყუდროდ მიდოდა, რომ ეს ჩვენი ძვე-  
ლი ნაცნობი პ. მირიანაშვილი არ გამო-  
ჩენილიყო ისე უსაფუძლოდ ამ ჩვენს ქა-  
ლაქში. ძაცო, მანდ პარისში რო იყო,  
რალაც „იონები“ გამოუგონია (იონების  
ისტორია ხომ მე და შენც ვიცით) და  
იძახის, რომ ზოგიერთი უცხო სიტყვე-  
ბი ამ დაბოლოებით ვიხმაროთო. ეს  
უფრო ქართული იქნებაო. ამ დღევ სულ  
„ივერის“ რედაქციონში დიდის და პრო-  
ტესტაცაონს აცხადებს, რომ ევრე წერა,

როგორც თქვენა წერთ, არ შეიძლება.  
 ეს ახალი შემოღება ჩვენს მწერლებს სასა-  
 ცილოდ არა ჰყოფნით. მართლაცა და  
 რამ მოათქრა, ლმერთმანი, ამ მირიანა-  
 შვილს იონების კითხვა აეძრა (ონები  
 არა სჯობდა!) ბანა ეს „იონები“ რომ  
 კარგი რამ იყენ, ჩვენი დიდი მწერლება  
 აქამდის არ შემოიღებდენ? ან ძალიან კა-  
 რგიც რომ იყვნენ, ეხლა დაგვიანებულია.  
 მირიანაშვილი იძახის, რომ ის სიტყები  
 რომლებსაც მე „იონებით“ ვაბოლოვებ,  
 დედა ენაშიაც და სხვა მვროპის ენებშიაც  
 ეგრე დაბოლოვდებიანო. დიდი საბუთი  
 კია, თქვენმა მზემ, მირიანაშვილო! ბანა  
 რომაელები და სხვა მვროპელები რომ  
 გიჟები იყვნენ, (თუ გიჟები არ არიან  
 „იონებს“ რმდ ხმარობენ)? ძართველებიც  
 უნდმ გაგიჟდენ? სადა თქმულა და გაგო-  
 ნილა? მოდი და მასხარად ნუ აიგდებს  
 კაცი ამის გამოგონს. ლეთის წყალობაა-  
 რომ ლ. მრისთავმაც გული მოუკლა თა-

ვის მახვილობით „იონის“ მიმდევრებს. აი, რა ნაირად დასცა ძირს ამ ენა-მჭრელ-მა მოღვაწემ ეს ფანტაზია „ივერიის“ რედაქტორს მიუვიდა შემდეგი წერილი მისგან:

„ივერიის“ რედაქ — ციონს

„შთხოვ პატივცემულს „ივერიის“ რედაქ — შენს (ანგლიურია) ამ ჩემის მახვილობით ქვეყანა გააკვიროს“

მართალია, მირიანაშვილს ის მოჰყავს თავის შემოღების საბუთად, რომ სხვებიც იგონებენ ახალს დაბოლოვებას და მე რაღა ვარო. ეს იმას ნიშნავს რომ კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო. პრა სად მირიანაშვილის გამოგონება და სად ჭავჭავაძისა. შარშან - წინ ტერმინოლოგიის კრებაზე ილია ჭავჭავაძემ რო წამოადგინა ტერმინად სიტყვა პრეპარაციონი განა იმიტომ წამოადგინა და მიაღებინა მეცნიერს კრებას, რომ სულ-

ყველა სიტყვებს (საცა კი საჭიროა) „იონი“ უმატეთო. არა, იმას ვგეროთი სიტყვა მოეწონა და იმიტომაც მიაღებინა. მეორე იმის ახალი შემოღება — დაბოლოება ებურნი ურის მაგიერ — ხომ სულ სხვა საბუთზეა დამყარებული. ის იმით არის კარგი, რომ ყურში სასიამოვნოდ მოისმის. აბა, შეადარეთ, რომელი სჯობია: კაცებური მსჯელობა, ზეცებური ხმა, კახებური ღვინო, ყიწმიზებული ფერი, სპეციალური საგანი; თუ კაცური მსჯელობა ზეცური ხმა, კახური ღვინო, ყიწმიზი ფერი, სპეციალი საგანი? რა დიდი გამოსაცნობია, რომ პირველნი სჯობიან მეორეთ.

ისე მირიანაშვილის გამოგონება არ არის საკვირველი (რას არ უნდა მოელოდეს ლაწირაკისგან კაცი?) როგორც ის, რომ მას ამჟამინი გამოუჩნდენ. თითქმის მთელი დედათა სქესი „~~მონების~~“ (და არა ოინების) მომხრეა. არ ვიცი, რის ან ვის

ბრაღაა? ზამომგონის თუ გამოწაგონის? ჩვენი ნაზი (ნაზებური კი უნდა ითქვას) მანდილოსნები დიდის ენერგიით და სი-  
ცხარით (რომელიც ხან და ხან ძალიან შორს წაიყვანს ხოლმე მათ) ითვისებენ მირიანიშვილის სწავლას. ისინი ეხლა ისე განვითარდენ ქართულს ენაში, რომ აი რა ენით ლაპარაკობენ: „ივერიის (ითქმის „ივერიონიც“) რედაქციონში მიუღიათ ძუთაიზითგან ერთი კორესპონ-  
დენციონი, რომელშიდაც იქაური გიმაზის-ტკიონები ძალიან გაკიცხული არიან-თბი-  
ლიზელი მანდილოსნები მოვალენი ვართ პროტესტაციონი გამოვაცხადოთ ამის-  
თანა უგალანტერიონობის წინამდევ.“ ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ უსა-  
ფუძვლო შემოდებაც ფებს გაიდგავს ხოლ-  
მე, თუ გამომგონს რამე მიზეზით გავლენ-  
ა მოუპოვებია საზოგადოებაში (მაგალითი არ არის ჩვენში.)

მრთივ კიდევ და მირიანიშვილზე ლა-

პარაკს შევწყვეტ. იმან განიძრახა გაზე-  
თის გამოცემა. ამისთანა თავხედობა გა-  
გიგონია? ზაზეთი არა გვაქს განა, რომ  
ახალის გამოცემა მოუფიქრია, ან რა იქნება  
იმის გაზეთი? სასაცილო და სხვა არა ფე-  
რი, როგორც ერთს დიდად თაყვანსაცე-  
მელს პირსაც უთქავს. არა, რა უნდა  
დაწეროს, ერთი მითხარ, თუ ძმა ხარ?  
მეთაური წერილები ან ტონურის სტილით,  
ნარკვევი ოპტიმისტ-პესიმისტურის კო-  
მენტანრებით, ახალი ანბები გაჭიანურე-  
ბით, თუ ნაკვეს—დამაკვიდრები? მსეები  
ხომ ყველა კარგად და ძრიელ კარგადაც  
იწერებიან „ივერიაში“. რაც საჭიროა  
სწერენ და რასაც არა წერენ, რით ვერ  
გაიგო, რომ არ არის საჭირო.

ამდენი იმიტო ვილაპარაკე მირიანა-  
შვილზე და იმის უსაფუძვლო ფანტაზიე-  
ბზე, რომ ის (და არა იგი) ხელით ხელს  
საგომანებელი გახდა ჩვენს თბილელს  
საზოგედოებაში. მის მოსვლითგან ჩვენის

მოაზრე საზოგადოებისთვის ახალი ხანა  
დადგა. ლხინში თუ მწუხარებაში სულ  
ის ახსოვთ. რამდენი ლაზათიანი სიტყვე-  
ბი ითქვა იმის გამოისობით, რამდენი  
გული აკანკალდა იმის ნახვით. რამდენი  
საკითხავი დაიბადა იმის მოვლინებით!  
აი, ამ საკითხავთაგანი ერთი უმახვილესი,  
წარმოდენილი ერთის ენა-ჭკუა-კალამ და  
ებრვე მახვილის მწერლისგან: ორი ზეტ-  
რე და ორი მიწიანიშვილი რამდენს გატსა  
იქსო. აბა სცადე ეს საკითხავი ახსნა სხვა,  
თუ ძრიელ არ გეძნელა.

ახალი ანბავი ბევრია აქ საყურად-  
ღებო, მაგრამ ვინ მოსთვლის! აი, ჯერ  
ისევ მწერლობის შესახებ.

მომავალს წელიწადს აპირებენ თავის  
ნაწერების გამოცემას ჩვენი დიდი მწერ-  
ლები: აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე.  
ეს ყოვლად სასიამოვნოა, ხოლო ვურ-  
ჩევთ არ გაისწორონ ენის გრამატიკული  
შეცდომანი, რადგან, კაცმა რო სულს

ქვეშა თქვას, მათ ნაწერებში თითქმის  
სულ არ მოიპოვებიან.

რაფიელ პრისტავი რამდენსამე დიდს  
ოპერას ამზადებს ზაფხულის სეზონის-  
თვის. დ. პრისტავი და ი. მაჩაბელი მო-  
ულალავად თარგმნიან ფრანგულს პიე-  
სებს მშვენიერის ავლაბრულის სტილით.  
აქ ჩვენ უნდა სამწუხაროდ მოვიხსენოთ,  
რომ ი. მაჩაბელმა ულალატა თავის მო-  
საწონს ჩვეულებას ერთს შემთხვევაში,  
რომელსაც ჩვენ არ დავმალავთ და, ნუ  
დაგვემდურება საქვეყნოთ დავუწუნებთ.  
მან გადმოთარგმნა ჰამლეტი ისეთის  
ენით, რომელიც სულ არ მიაგავს სხვა  
მისგან ნათარგმნის პიესების ენას. მართა-  
ლია ჩვენდა სასიამოვნოდ აქა—იქა „ჰამ-  
ლეტშიაც“ არის გაპნეული ავლაბრული  
ლაზათი, მაგრამ ეს ცოტაა. საზოგადო  
ჩაბეჭდილებას კი ცუდს ახდენს... ავლა-  
ბრელებზე.

ნიკოლაძეს — მადლობა — უფალს — გუ-

ლი მოუბრუნებია ჩვენზე და გამოუცხადებია ქართულს მწერლობაში კვალად ფეხის ჩადგმის სურვილი. ამის მიზეზი ვიკელიე და აი რა გავიკელიე. თურმე ამ ათის წლის წინად მან იმიტომ დაანება ქართულს მწერლობას თავი, რომ მის ღირსნი თანაშრომელები აღარ მოიპოვებოდნენ ჩვენში. მიზეზი თურმე სხვც არა ყოფილარა, ჭორია ვითომ ფულის მოსაგებად მოურავად დამდგარიყვეს ვისთანმე. ან რა დასაჯერებელია? მხლა კი როცა ზეცამ მოგვივლინა და ნიკოლაძემაც იცნო ორი ახალბაზდა ვასკვლავი, იმის ღირსნი და მსგავსნი (თითონ არ მალავს), მოუნდომია მათთან ერთად გაზეთის გამოცემა. მის მსგავსნი და ღირსნი ვარსკვლავნი არიან ილ. ხონელი და დ. სოსლანი.

ჩვენი დიდებული ისტრიკოსები ძმანი ჯანაგილები შესდგომიან მრავალ ტომოვანის შოკლე ისტორიის გამოცემას.

ახალს დოკუმენტებს და წარწერებს მათთვის ნება მიუციათ, სულ სხვა თვალით შეეხედნათ საქართველოს ისტორიისთვის და სხვა ნათელი მოეფინათ ყველა ბნელს მხარეებზე, რომლებითაც პირველი მათი შრომა აუცილებლად სავსე უნდა ყოფილიყო.

**ზ.** ჭიჭინაძე და **პ.** შმიკაშვილი აპირებენ გამოსცენ ყველა ის ძველი თხუზულეებანი, რომლებიც ჯერ არც მათ წაუკითხიათ და არც არავის სხვას. პირველს მზადა აქს ყველა წიგნებისთვის წინა და უკანა სიტყვაობანი, ხოლო მეორეს ტექსტში შენიშვნები ჩაურთავს კიდევ.

ზოგებაშვილი დედა-ენას თურმე რუსულად თარგმნის. არ შეიძლება ეს აზრი არ მოეუწონოთ. ღრთა, მგონი, საბოლოოდ მოესპოთ რუტინა. თუ ქართულად არ ვგლაპარაკებით არავის, არც ქართულად უნდა ვუწეროთ წიგნები არავის.

ბ. ნასიძე სააღმშენებლოთ გამოცემის  
თავის შესანიშნავს გრამატიკას. თურმე  
ბევრის ფიქრის, გამოკვლევის და აღებ-  
დაღების შემდეგ ყველა ბრუნვები უარ-  
უყვია ერთის გარდა. ამის პატივსაცემის  
აზრით სახელობითის ბრუნვითგან წა-  
მოსდგებიან სხვა ყველა ბრუნვები. მიდ-  
რე გრამატიკის დაბეჭდას შეუდგებოდეს,  
ის ბეჭდავს ქართველის მწერლების რჩე-  
ულს ნაწერებს, რომელთაც თან აღვი-  
ლად გასაგების სიტყვების განმარტებას  
ურთავს.

შესდგა და მუშაობს ასრედ წოდებუ-  
ლი მოღვიწის რედაქციას, როგორც აქა-  
ურის ჩიქორთულით იტყვიან. ამ რედაქციას  
მიზნად აქს მოლიერის გადმოთარგმნილი  
პიესები შეასწოროს, რათგან ენა მათი დრო-  
თა ვითარებისგან წარყვნილა. რედაქციო-  
ნის წევრთა შედგენილობა სრულს საბუთს  
გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესწორება  
წესიერი იქნება, რათგან გამსწორებლე-

ბი გათქმულნი არიან თავიანთ ცოდნით როგორც ქართულს, ისე ფრანგულს ენებში (უფრო ქართულშია, ამბობენ).

ჩვენი ხალხი არამც თუ მეცნიერებაში და მწერლობაში მიდის წინ, არამედ ყოველს ხელობაში. მართი მაგალითი: ვაჭრობაში ჩვენ დღემდის ჩამორჩენილნი ვიყავით და ყველანი ვაჭრობის ნიჭს გვიწუნებდენ. ღღეს კი რაკი როთშილდის კომპანიაში, როგორც „ივერიის“ მოამბე გვატყობინებს, ორი ქართველი შესულა დირექტორად, იმედი აქვს ყველას, რომ მეროპა ერთბაშად შეიცვლის აზრს და იტყვის, რომ ქართველებსაც სოვდაგრობის ნიჭი ჰქონიათო. ჩვენ სრულიად თანახმანი ვართ ამ აზრისა. მეროპა იმაშიაც დარწმუნდება, რომ ქართველები ნიჭით ენციკლოპედისტები არიან, რომ იმათ შეუძლიანთ ერთსა და იმავე დროს იყვნენ მემკვიდრეობით მდიდარნიც და პოეტნიც,

ტურისტნიც, პუბლისტნიც და, ასე გასინ-  
ჯე, ოხუნცნიც კი.

როგორც ხედავ, ჩვენს საზოგადოება-  
ში ყოველ-ნაირი ნიჭი ბუდობს და თითო-  
თითოდ ხომ არა. ზოგს ორი აქს, ზოგს  
სამი და მომეტებულს უფრო მეტი. მე  
კი (ვაგლახ-ბედო)! მარტო ერთი ნიჭი  
დამყოლია. მს ნიჭი, როგორც შენც  
კარგად მოგეხსენება, გაკვირვების ნი-  
ჭია. აგერ ოთხი თვეა აქა ვარ და გა-  
კვირვების მეტს არას ვაკეთებ. მიკვირს,  
როგორ იტევს ჩვენი პატარა საზოგადოე-  
ბა ამოდენა ძალებს. ზნეობრივს თუ გო-  
ნებრივს!

აი, ამ დღეებში ვიგვრძენ, რომ გა-  
კვირვება არას მომიტანდა. საჭიროდ და-  
ვინახე ერთ-ერთის ნიჭის შეძენა (არ არ-  
ის აქ ძვირი) და პირველად წერის ნი-  
ჭის შეძენას მოვკიდე ხელა. აი, ნიმუ-  
შად, რა წარმატება ვქენ წერაში.

„იგი დიდებული კაცი, რომელიცა

შეერთებულთა დასთა მომარცხენეთა და მომარჯვენეთა ჩამოაგდეს ძირს, დიდად დასაწანია, ანუ უკედ, დასაკლისია გარე-  
 შე პოლიტიკისათვის საფრანგეთისა. ვინ.  
 წარმართავს ბედსა რესპუბლიკისას სა-  
 ფრანგეთისას, ვინლა გაუძღვება საქმეთა  
 დახლართულთა ეგვიპტისა წყალობითა  
 ინგლისისათა. შემცდარ არიან იგინი, ვინ-  
 ცა იმედოვნებენ მსვლელობასა უკეთესსა  
 საქმეთა შინაურთა თუ გარეულთა. ულუ-  
 რასნი, მინისტრად გარეშე საქმეთა და-  
 დგენილი გობლეს მიერ, ვერ უზამს ინ-  
 გლისს იმა უნარსა, რაც ფრეისინემ მი-  
 აყენა. ზარდა ამისა დაცემითა შრეისინეს  
 სამინისტროისა, არა შეიძლება რომა აბ-  
 რუ არა გაუტყდეს დასსა რესპუბლიკელ-  
 თასა“ და ებრეე.

ეს ნაწვეტი ვაჩვენე „ივერიის“ თანა-  
 მშრომელს ბ. ზრიგოლ შიფშიძეს და  
 მან დამარწმუნა მგმობარე ფიცით, რომ  
 თუ ცოტას კიდევ ჰკუთას ძალას დავატან,

შემეძლება ანტონურის სტილით გაზეთ-  
ში მეთაურების წერა.

მაშ მომილოცე, ეს ანტონური და  
ავლაბრულსაც, იმედია მალე შევითვისებ.

კახუ

894.63.89

5 279

555729